

თეა ტეტელოშვილი

„სხვადასხვასთან“ დაკავშირებულ საზღვრულ წევრთა რიცხვის საკითხისათვის

ჩვენი კვლევა ეხება „სხვადასხვასთან“ დაკავშირებულ საზღვრულ წევრთა რიცხვის საკითხს, როცა „სხვადასხვა“ განსაზღვრავს როგორც ერთ, ისე ერთზე მეტ სიტყვას.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „სხვადასხვა“ არის **განსხვავებული, არა ერთი და იგივე, არაერთნაირი, არამსგავსი, ნაირ-ნაირი..**, ანუ „სხვადასხვა“ შინაარსობრივად მოიწოდებს ერთზე მეტს (ქეგლი). სწორედ ამ სემანტიკის გამო „სხვადასხვა“ მიეკუთვნება გაურკვეველი სიმრავლის გამოხატველ სიტყვებს. „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ თანახმად, „გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ სახელებად მიჩნეულია ატრიბუტული მსაზღვრელები, რომელთა ფუძეების მნიშვნელობა გულისხმობს სიმრავლეს (ერთზე მეტს) და საზღვრულს თუმცა არაზუსტად, მაგრამ მაინც რაოდენობრივად ახასიათებს“ [ბიულეტენი 1987: 55]. იქვე შენიშნულია, რომ „ისეთი სახელები, როგორიცაა **მრავალი, უამრავი, აუარებელი, აურაცხელი, უანგარიშო, უთვალავი, ურიცხვი, რამდენიმე, არაერთი, თითო-ოროლა...** უფრო გამოკვეთილად აღნიშნავს განუსაზღვრელ სიმრავლეს, ვიდრე სახელები: **ამდენი, იმდენი, რამდენი, ყველა, ყოველი, ზოგი, სხვადასხვა, ცალკეული...**, რომელთაგან **ყოველი, ზოგი, სხვადასხვა, ცალკეული**, ნორმის პროექტის ავტორის თქმით, მიუთითებენ განმხილვებულ, განთითობულ სიმრავლეზე“ [ბიულეტენი 1987: 57]. ც. კალამე მასალის ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ „მრავლობითის ხმარება უმთავრესად სტილისტიკური მიზნებითაა შეპირობებული, საერთოდ კი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში (იგულისხმება ნორმის დადგენის პერიოდი, გასული საუკუნის 90-იანი წლები, ანუ დაახლოებით 30 წელზე მეტი ხნის წინანდელი ვითარება) საკმაოდ გამოკვეთილია ტენდენცია – სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან საზღვრული მხოლოობითში დადგეს“ [იქვე: 59]. სწორედ ზემოთქმულის საფუძველზე თანამედროვე ქართული სალიტერატურო

ენის ნორმათა დადგენის მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ განსაზღვრა, რომ „საზღვრული დაისვას მხოლოდობით რიცხვში, თუ მას გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელი მსაზღვრელი ახლავს“ [ბიულეტენი 1987: 60]. ამავე დადგენილების მე-5 პუნქტით დასაშვებად იქნა მიჩნეული საზღვრულის მრავლობითში დასმა პოეტურ და ექსპრესიულ მეტყველებაში“ [იქვე: 61].

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, „სხვადასხვასთან“ დაკავშირებული საზღვრული წევრი უნდა იყოს მხოლოდობით რიცხვში, თუმცა საკმაოდ ჭრელი სურათი იკვეთება, როდესაც გაურკვეველი სიმრავლის გამომხატველი ხსენებული სიტყვა განსაზღვრავს არა ერთ, არამედ რამდენიმე სიტყვას ან წარმოადგენს სხვა მსაზღვრელ(ებ)ის პრეპოზიციურ მსაზღვრელს.

უკანასკნელი ორი შემთხვევისათვის თანამედროვე ქართულში მოქმედი ტენდენციის გამოვლენის მიზნით გავაანალიზეთ კორპუსული მონაცემები.

პირველ რიგში შევხებით ისეთ მაგალითებს, რომლებშიც „სხვადასხვა“ არის რამდენიმე სიტყვის მსაზღვრელი. მისი საზღვრული წევრების რიცხვთან (მხოლოდობითი / მრავლობითი) დაკავშირებით სირთულე წარმოიშობა მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ისინი გაერთიანებულია მაჯგუფებელი (და, თუ) ან მაცალკეებელი (თუ, ან) კავშირებით. სხვა სახის მაერთებელ ან მაქვემდებარებელ კავშირებთან, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, თეორიულადაც გამორიცხულია ბუნდოვანება (უკანასკნელი შემთხვევების დროს „სხვადასხვა“ მიემართება მხოლოდ იმ წევრს, რომელსაც წინ უძღვის). მასალის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ „სხვადასხვით“ განსაზღვრული სახელები ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ მრავლობით რიცხვში გვხვდება და ზოგჯერ – მხოლოდობითში. ნორმის დარღვევის საილუსტრაციო მაგალითებს დავიმოწმებთ ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან¹.

და-კავშირიანი შეერთება:

18 იანვარს სპენსერ ოლივერმა **სხვადასხვა ობიექტები და ადგილები** მოინახულა (ქექეკი 1).

¹ მაგალითებში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

მინსკის პირველი და მეორე მოლაპარაკებების დროს სხვადასხვა ეტაპზე **სხვადასხვა სანქციები და ზომები** იქნა მიღებული (ქეევი 2).

ავტომობილში მთავარი მძღოლია და არა **სხვადასხვა სისტემები და ტექნოლოგიები** (ქეევი 3).

თუ-კავშირიანი შეერთება:

მას შემდეგ **სხვადასხვა პოლიტიკოსები თუ ბიზნესმენები** საავიაციო ქარხნის ირანთან კავშირებს ხშირად იხსენებენ (ქეევი 4).

ეს იყო კადრების დაკომპლექტება, ლექციები, **სხვადასხვა კონფერენციები თუ სიმპოზიუმები** (ქეევი 5).

კლუბში „33ა“ ჩატარდა ალტერნატიული მუსიკის კონცერტი, რომელშიც **სხვადასხვა ჯგუფები თუ მომღერლები** იღებდნენ მონაწილეობას (ქეევი 6).

ან-კავშირიანი შეერთება:

სხვადასხვა ფონდები ან ტელევიზიები გაფინანსებენ და ესე იგი თავიდან იწყება ხოლმე ყველაფერი (ქეევი 7).

მსოფლიოს ბევრ ქალაქში არსებობს ტრადიცია, რომ გარდაცვლილი ადამიანების სახელებს არქმევენ **სხვადასხვა ობიექტებს ან ქუჩებს** მხოლოდ გარკვეული წლების გასვლის შემდგომ (ქეევი 8).

აღნიშნული ცვლილებები **სხვადასხვა სამინისტროების ან პროგრამების** დაფინანსების ზრდად წარმოადგინოს (ქეევი 9)...

ზემოთ მოყვანილი და მსგავსი შემთხვევები ქართული სალიტერატურო ენის ტრადიციის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს დარღვევად და არა – ახალ ტენდენციად, რამდენადაც ნორმით დადგენილი წესი თანამედროვე ქართულში კვლავაც აქტიურად მოქმედებს. თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ ერთიც, შესაძლოა „სხვადასხვა“ მაჯგუფებელი კავშირით შეერთებულ წევრთაგან მხოლოდ იმას მიემართებოდეს, რომელსაც უშუალოდ უძღვის წინ. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მეორე სიტყვა მრავლობითშიც იდგეს, რაც ნორმის დარღვევად არ უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად,

პარალელურად გამოიყოფა **სხვადასხვა გაზი და მინერალები** (ქეევი 10).

კახეთში გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარებას (იგულისხმება **სხვადასხვა ხილი და კენკროვანები**) უდიდესი პერსპექტივები აქვს (ქეევი 11).

თუმცა არცთუ იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შინაარსობრივად უდავოა, რომ „სხვადასხვა“ მიემართება მაჯგუფებელკავშირიან ორივე წევრს, მაგრამ ერთი, რომელსაც იგი უშუალოდ უძღვის, მხოლოდობითი დგას, მეორე კი – მრავლობითში. აღნიშნულის საილუსტრაციო მაგალითებია:

გოგონებსა და ვაჟებს ზრდისა და ფიზიკური განვითარების **სხვადასხვა ტემპი და ეტაპები** აქვთ (ქეეკი 12).

უნდა იყოს **სხვადასხვა ტემპი და ეტაპი...**

ჩვენ ქვეყნის მშენებლობის **სხვადასხვა მეთოდი და გზები** გვაქვს (ქეეკი 13).

უნდა იყოს **სხვადასხვა მეთოდი და გზა...**

ზოგჯერ ამგვარი ბუნდოვანების პრევენციისთვის „სხვადასხვას“ იმეორებენ მაჯგუფებელი კავშირით შეერთებულ ორივე საზღვრულ წევრთან. ეს, როგორც ჩანს, გამოწვეულია მოსაუბრის სურვილით – თავიდან აირიდოს ორაზროვნება. ამგვარი მაგალითებია: **სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა სახელმწიფოში, სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა ხალხის თქმულებები...**

განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როდესაც „სხვადასხვა“ მომდევნო მსაზღვრელ(ებ)ითურთ ახლავს სახელს. მომდევნო მსაზღვრელი შეიძლება იყოს როგორც ატრიბუტული, ისე ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები. მაგალითად, ერთი მხრივ, **სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაცია, სხვადასხვა სახის/ტიპის/დანიშნულების... ორგანიზაცია** და მეორე მხრივ, **სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაცია/ორგანიზაციები, სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირი/პირები, სხვადასხვა ეპოქისა და სტილის სურათი/სურათები, სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური ჯგუფი/ჯგუფები.**

ორ- და მეტმსაზღვრელიანი საზღვრული სახელის რიცხვს სპეციალური სტატია მიუძღვნა ც. კალაძემ, რომელიც მასალის ანალიზის საფუძველზე წერს: „ბევრ შემთხვევაში საზღვრულის რიცხვის არჩევას შინაარსობრივი მომენტი განსაზღვრავს. საზღვრულის დასმა მხოლოდობითი ან მრავლობითი ზოგჯერ მნიშვნელობას უცვლის ფრაზას; ამიტომ ფრაზის ავტორი ცდილობს დააზუსტოს მისი შინაარსი, ნათელყოს, რომ ლაპარაკია ორ (ან მეტ) საგანზე და ამ საგნის სახელს შესაბამისად მრავლობით რიცხვში წარმოგვიდგენს“ [კალაძე 1979: 123]. მიუხედავად ამ დებულებისა და მის მიერ-

ვე შემჩნეული ტენდენციისა, რომ მსგავს მდგომარეობაში საზღვრული უმეტესად წარმოდგენილა მრავლობით რიცხვში [კალაძე, იქვე], იგი ერთმანეთისგან მიჯნავს მართულმსაზღვრელებიან, მართულ და ატრიბუტულმსაზღვრელებიან და ოდენ ატრიბუტულმსაზღვრელებიან შესიტყვებებს. პირველი ორისთვის იგი ნორმად მიიჩნევეს საზღვრული წევრის მრავლობით რიცხვში წარმოდგენას, უკანასკნელის შესახებ კი აღნიშნავს: „ატრიბუტულმსაზღვრელიანი სინტაგმები განსხვავდება მართულმსაზღვრელიანთაგან, უპირველეს ყოვლისა, შინაარსით. პირველნი, ძირითადად, საზღვრულის რაიმე ნიშანზე, თვისებაზე მიუთითებენ, მეორენი კი – კუთვნილებაზე, წარმომავლობაზე“ და დაასკვნის: „ატრიბუტული მსაზღვრელის უპირველესი თვისება – მიუთითოს საგნის დამახასიათებელ ნიშანზე ან თვისებაზე – ისე აშკარას ხდის ... ორი საგნის (ორი ბანკის, ორი სართულის, ორი უბნის¹...) არსებობას, რომ საზღვრულის მრავლობით რიცხვში დასმა ამგვარ შემთხვევებში სრულებით აღარაა საჭირო“ [კალაძე 1979: 127].

ჩვენი აზრით, ატრიბუტული მსაზღვრელების საზღვრულ წევრებთან მიმართებით ც. კალაძის არგუმენტი დაზუსტებას საჭიროებს – მკვლევრის მიერვე დამოწმებულ მაგალითებში მრავლობით რიცხვში საზღვრულთა წარმოდგენა უფრო ნათელს გახდიდა წინადადების შინაარსს. **მსგავს შემთხვევებში საზღვრული ისევე უნდა იყოს მრავლობითში, როგორც ეს მართულმსაზღვრელებიან სინტაგმებში გვაქვს.** ამგვარი მიდგომა **ა) გამართლებულია თანამედროვე ქართული ენობრივი ტენდენციით, ბ) შინაარსობრივ ბუნდოვანებას გვარიდებს და გ) დასასწავლად მარტივია,** რადგან ერთი წესი იარსებებს რამდენიმე მსაზღვრელიანი საზღვრულის რიცხვთან დაკავშირებით.

ამას გარდა, თანამედროვე ქართული ენობრივი ტენდენცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ უკანასკნელს უჭერს მხარს.

¹ ავტორი გულისხმობს მის მიერ დამოწმებულ შემდეგ მაგალითებს:

აქ ისე, როგორც **საქალაქო თუ ქალაქარე ბანკში** დილა პიონერული საყვირით თენდება.

დიდი სერი სოფელს ყოფდა ორად – **ქვემო და ზემო უბნად.**

და ახლანდელს დროში, როცა ეს **ზედა და ქვედა** სართულის ბატონები ერთმანეთს შეეტაკებინან ხოლმე, გამარჯვება კუჭსა რჩება.

თქმულის დასადასტურებლად მაგალითებს მოვიხმობთ ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან:

როგორც ეკა ელოშვილი ამბობს, **სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებები** ხშირად მიმართავენ ფედერაციას ამა თუ იმ მატჩზე ბილეთების გამოყოფის თხოვნით (ქეეკი 14).

ამჯერად **სახელმწიფო და არასახელმწიფო ექსპერტები** ერთსულოვნები იყვნენ (ქეეკი 15).

ფულადი დანაზოგების (ანაზრების) უზრუნველყოფის (დაცვის) **სახელმწიფო და არასახელმწიფო გარანტიები** (ქეეკი 16).

„ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში არ არსებობს **დიდი და პატარა ქვეყნები** (ქეეკი 17).

მისი აქტიორული ცხოვრება კიდევ ერთი ნათელი დასტურია კონსტანტინე სტანისლავსკის ფრთიანი გამოთქმისა: „არ არსებობენ **დიდი და პატარა როლები**, არსებობენ **დიდი და პატარა მსახიობები**“ (ქეეკი 18).

თუნდაც იმიტომ, რომ სპექტაკლები ენახათ – **კარგი და ცუდი სპექტაკლები**, რომელიც „საჩუქარზე“, ისევე როგორც ყველა ფესტივალზე, მრავლადაა (ქეეკი 19).

კარგი და ცუდი ადამიანები არიან როგორც მმართველ პარტი-აში, ისე ოპოზიციაში (ქეეკი 20).

როგორი ვითარება გვაქვს, როდესაც რამდენიმე მსაზღვრელი-ან შესიტყვებაში წარმოდგენილია გაურკვეველი რაოდენობის გამომხატველი მსაზღვრელი „სხვადასხვა“?!

რამდენადაც „სხვადასხვა“ რაოდენობაზე უფრო მეტად მრავალფეროვნებას, არაერთგვაროვნებას უსვამს ხაზს, როდესაც ის ახლავს რამდენიმე მსაზღვრელს, რომლებიც თავის მხრივ განსაზღვრავენ სხვა საზღვრულ წევრს, ვფიქრობთ, ასეთი საზღვრულის მრავლობით რიცხვში წარმოდგენა არ უნდა ფასდებოდეს ენობრივი ნორმის დარღვევად. მაგალითისთვის შევადართო ერთმანეთს შემდეგი სინტაგმები: **სხვადასხვა სასწავლო და საგამოცდო ოთახი** და **სხვადასხვა სასწავლო და საგამოცდო ოთახები**. პირველი შესიტყვების მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ სწავლისა და გამოცდისთვის განკუთვნილია ერთი ოთახი, მეორე შემთხვევაში – ერთზე მეტი. ამ შემთხვევაში შესაძლოა დაგვეწერა ასეც: **სასწავლო და საგამოცდო სხვადასხვა ოთახი**, თუმცა ზოგჯერ მსაზღვრელთა ამგვარი გადანაცვლება ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას. ლ. კვაჭაძე

„თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ აღნიშნავს: „ნაცვალსახელითა და რიცხვითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა, ზედსართავითა და მიმღობით გადმოცემული – მეორე ადგილზე [კვაჭაძე 1996: 200]. მისივე ანალიზით, სამი ატრიბუტული განსაზღვრების შემთხვევაში პირველ ადგილზეა რიცხვითი სახელი, ანდა ნაცვალსახელი, მომდევნო ორი კი – ზედსართავები (ან ზედსართავი და მიმღობა, ან კიდევ ზედსართავი და არსებითი)... [კვაჭაძე 1996: 200-201]. სწორედ ამიტომ არის თანადროული მსაზღვრელობისას „სხვადასხვა“, როგორც გაურკვეველი რაოდენობის გამომხატველი სიტყვა, მსაზღვრელთა შორის პირველ ადგილზე და ზოგჯერ, როგორც ზემოთ მოხმობილ მაგალითში, ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ქმნის მსაზღვრელების ადგილთა გადანაცვლება.

რაც შეეხება ისეთ მაგალითებს, როდესაც „სხვადასხვა“ განსაზღვრავს არა ორ, არამედ ერთ სიტყვას (მაგ., **სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაცია, სხვადასხვა სახის/ტიპის/დანიშნულების... ორგანიზაცია**), ყურადღება უნდა მიექცეს იმას, „სხვადასხვა“ წარმოადგენს სიტყვის მსაზღვრელს, რომელიც თავადაა სხვა სიტყვის მსაზღვრელი (შეიძლება ითქვას თანამიმდევრული მსაზღვრელი), თუ „სხვადასხვა“ მომდევნო სიტყვითურთ არის სხვა სიტყვის მსაზღვრელი (თანადროული მსაზღვრელი, არაერთგვარი განსაზღვრებები). პირველ შემთხვევაში ბოლო საზღვრული წევრის რიცხვი არაა დამოკიდებული შესიტყვებაში „სხვადასხვის“ არსებობაზე და შესაძლოა იდგეს მრავლობით რიცხვში, მეორე შემთხვევაში კი აუცილებლად უნდა წარმოვადგინოთ მხოლოებითში.

პირველი შემთხვევის მაგალითები:

სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებები კი მრავალი ნიშნით შეიძლება დავუკავშიროთ ერთმანეთს ჟანრით, თემატიკით, ეპოქალური და სოციალური პრობლემატიკით, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით და სხვა (ქეეკი 21).

უნდა იყოს: **სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებები** („სხვადასხვა“ განსაზღვრავს „ავტორს“ და იგი უნდა იდგეს მხოლოებითში).

ასეთ დასკვნებს **სხვადასხვა ბანკების დილერები** აკეთებენ (ქეეკი 22).

უნდა იყოს: **სხვადასხვა ბანკის დილერები** („სხვადასხვა“ განსაზღვრავს „ბანკს“ და იგი უნდა იდგეს მხოლოდითში).

მაგრამ ფაქტია, რომ ეს სხვა ორიენტაციის ადამიანები ყოველდღე ტელევიზიებში **სხვადასხვა გადაცემების სტუმრები** არიან (ქეეკი 23).

უნდა იყოს: **სხვადასხვა გადაცემის სტუმრები** („სხვადასხვა“ განსაზღვრავს „გადაცემას“ და იგი უნდა იდგეს მხოლოდითში)...

სალამოს დაესწრნენ ქალაქის მერი, გუბერნატორი, **სხვადასხვა აკადემიის რექტორები** (ქეეკი 24).

რიცხვში შეთანხმების წესი დაცულია. ანალოგიური ვითარება გვაქვს ქვემოთ წარმოდგენილ ყველა მაგალითში:

ჩემი აღზრდილები **სხვადასხვა ანსამბლის წევრები** არიან, რითაც ძალიან ვამაყობ (ქეეკი 25).

აქციის მონაწილეებს შორის **სხვადასხვა ასაკის ადამიანები** იყვნენ, მათ შორის, ბავშვებიც (ქეეკი 26).

ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის მშვიდობიანად თანაარსებობდნენ და ერთმანეთს პატივის სცემდნენ **სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები** (ქეეკი 27).

ბროშურაში ამ თემასთან დაკავშირებით განმარტებას **სხვადასხვა დარგის ექსპერტები** იძლევიან (ქეეკი 28).

ანუ რადიკალურად **სხვადასხვა ასაკის ადამიანები** ერთსა და იმავე წიგნს კითხულობენ (ქეეკი 29).

მეორე შემთხვევის მაგალითები:

ჩვენ გვაშინებდნენ, რომ იქ არიან **სხვადასხვა აგრესიული ჯგუფები** (ქეეკი 30).

უნდა იყოს: **სხვადასხვა აგრესიული ჯგუფი...**

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები წლების განმავლობაში მუშაობდნენ ამ თემებზე (ქეეკი 31).

უნდა იყოს: **სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია...**

რეფორმის ადგილებზე ასამუშავებლად კი საჭირო შეიქნა კომპარტიისაგან არამართული ინსტიტუტების გაჩენა (**სხვადასხვა არაფორმალური საზოგადოებები**, სახალხო ფრონტები და სხვ.) (ქეეკი 32).

უნდა იყოს: **სხვადასხვა არაფორმალური საზოგადოება...**

ამ დღესთან დაკავშირებით ჩვენ ჩავატარეთ სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები... (ქეევი 33).

უნდა იყოს: **სხვადასხვა გასართობი ღონისძიება...**

დიახ, იყო საკითხები, რომელთა მიხედვითაც **სხვადასხვა ოპოზიციური ძალა** დამოუკიდებლად წყვეტდა, მიეღო თუ არა მონაწილეობა ასეთ შეხვედრებში (ქეევი 34).

რიცხვში შეთანხმების წესი დაცულია.

ლიტერატურა და წყაროები

ბიულეტენი 1987 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი N3, თბილისი.

კალაძე 1979 – ც. კალაძე, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი II, თბილისი.

კვაჭაძე 1996 – ლ. კვაჭაძე „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, თბილისი.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი:
<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

ქეევი 1 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246828671007244&cpos=27770746&corpus=grc> (08.05.19, 4:19)

ქეევი 2 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246828671007244&cpos=54151194&corpus=grc> (08.05.19, 4:20)

ქეევი 3 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246828671007244&cpos=65049330&corpus=grc> (08.05.19, 4:21)

ქეევი 4 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246828671007244&cpos=31430493&corpus=grc> (08.05.19, 4:23)

ქეევი 5 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246828671007244&cpos=64383116&corpus=grc> (08.05.19, 4:24)

ქეევი 6 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246828671007244&cpos=211411646&corpus=grc> (08.05.19, 4:25)

ქეევი 7 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:

<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246828671007244&cpos=32638241&corpus=grc> (08.05.19, 4:38)

ქეეკი 8 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246828671007244&cpos=196526804&corpus=grc> (08.05.19, 4:39)

ქეეკი 9 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246828671007244&cpos=67540787&corpus=grc> (08.05.19, 4:47)

ქეეკი 10 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=31719162&corpus=grc> (11.05.19, 19:54)

ქეეკი 11 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=137184041&corpus=grc> (11.05.19, 19:57)

ქეეკი 12 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=157041423&corpus=grc> (11.05.19, 19:56)

ქეეკი 13 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=73224183&corpus=grc> (11.05.19, 19:59)

ქეეკი 14 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=54945885&corpus=grc> (11.05.19, 20:54)

ქეეკი 15 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=99219984&corpus=grc> (11.05.19, 20:55)

ქეეკი 16 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=112150878&corpus=grc> (11.05.19, 20:56).

ქეეკი 17 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=61501947&corpus=grc> (11.05.19, 20:57)

ქეეკი 18 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=74704983&corpus=grc> (11.05.19, 20:58)

ქეეკი 19 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=34813167&corpus=grc> (11.05.19, 20:59).

ქეეკი 20 – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=74026228&corpus=grc> (11.05.19, 21:00).

- ქეეკი 21** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=185994711&corpus=grc> (11.05.19, 21:44).
- ქეეკი 22** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=76659635&corpus=grc> (11.05.19, 22:37).
- ქეეკი 23** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=196619818&corpus=grc> (11.05.19, 22:42).
- ქეეკი 24** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=247829647790233&cpos=93718458&corpus=grc> (11.05.2019, 21:46)
- ქეეკი 25** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=99182360&corpus=grc> (11.05.19, 21:47)
- ქეეკი 26** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=30987822&corpus=grc> (11.05.19, 22:14)
- ქეეკი 27** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=27609903&corpus=grc> (11.05.19, 22:15)
- ქეეკი 28** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=70098692&corpus=grc> (11.05.19, 22:52)
- ქეეკი 29** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=55295321&corpus=grc> (11.05.19, 22:58)
- ქეეკი 30** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=22016252&corpus=grc> (11.05.19, 21:42)
- ქეეკი 31** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=21995578&corpus=grc> (11.05.19, 21:49)
- ქეეკი 32** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=203559605&corpus=grc> (11.05.19, 22:08)
- ქეეკი 33** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=121445683&corpus=grc> (11.05.19, 22:46)
- ქეეკი 34** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:
<http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=246846496585384&cpos=192082452&corpus=grc> (11.05.19, 22:56)

Tea Teteloshvili

**On the Number of the Head Word Having the Modifier
*sxvadasxva***

Summary

The paper deals with the number of the head word having the modifier *sxvadasxva* preceding one or more words.

sxvadasxva belongs to the words that do not indicate the exact number and according to “The Georgian Literary Language Norms” the head word that follows it should be in the singular. However, the situation is varied when this word modifies not only one but several words or is a prepositional among other modifiers.

In order to find out the tendency concerning the last two cases in modern Georgian, we have analyzed the corpus data (<http://gnc.gov.ge>).

If the word *sxvadasxva* modifies several words, the difficulty of the number appears when the words are connected by conjunctive conjunctions (*da*, *tu*) and disjunctives (*tu*, *an*). As for other types of connectors or subordinate conjunctions, considering their specificity, the ambiguity is excluded even theoretically (*sxvadasxva* modifies only the member that follows it). As a result of studying the material, it has been revealed that in such cases the nominals modified by the word *sxvadasxva* may be found in the singular or the plural. To avoid the ambiguity *sxvadasxva* is often repeated, i.e. it is placed before both heads that are connected by the conjunctive conjunction. It depends on the will of a speaker, if they want to avoid misunderstanding, e.g. *sxvadasxva epokisa da sxvadasxva saxelmçipoši*, *sxvadasxva kveqnisa da sxvadasxva xalxis tkmulebebi*, etc.

The cases where *sxvadasxva* modifies a noun with other following modifiers is particularly interesting. The following modifier may be attributive or derived by the genitive case marker, e.g. on the one hand *sxvadasxva saxelmçipo organizacia*, *sxvadasxva saxis/tipis/danišnulebis... organizacia*, and on the other hand *sxvadasxva saxelmçipo da arasaxelmçipo organizacia/organizaciebi*, *sxvadasxva pizikuri da iuridiuli*

piri/pirebi, sxvadasxva epokisa da ştilis surati/suratebi, sxvadasxva erovnebis da religiuri žgupi/žgupebi, etc.

Ts. Kaladze dedicated article to this issue differentiating syntagms with subordinate modifiers, subordinate and attributive modifiers, and attributive modifiers. For the first two types of syntagms, the author considers the head word in the plural as a correct variant while for the latter, the singular form is thought to be correct (Kaladze, IGSC II, 1979: 127). We think that in all the three types of syntagms the head word should be in the plural. Such an approach is justified by 1) the modern Georgian linguistic tendency, 2) avoiding ambiguity, 3) giving a general rule concerning the number of the head word having several modifiers.

In addition, as stated above, the modern Georgian linguistic tendency supports the latter.

What happens when we have the modifier *sxvadasxva* expressing uncertain number in the syntagm containing several modifiers?

Since the word *sxvadasxva* emphasizes diversity more than number when it accompanies several modifiers of a head word, we think that presenting such a head in the plural should not be considered as the violation of the norm, e.g. *sxvadasxva sasçavlo da sagamocdo otaxi* and *sxvadasxva sasçavlo da sagamocdo otaxebi*. The first syntagm gives an impression that just one room is allocated for both studying and holding exams while in the second example, the rooms are more than one. We could write this way: *sxvadasxva sasçavlo da sagamocdo otaxi* but sometimes such a sequence of modifiers does not correspond to the nature of the Georgian language (see L. Kvachadze, “Modern Georgian Syntax”, 1996: 200-201).

As for the examples, where *sxvadasxva* modifies not two but just one word, the attention should be paid to the fact whether it is a modifier of a word that modifies a head word or it is a modifier of a head word together with another modifier, e.g. *sxvadasxva saxelmçipo organizacia, saxis/ţipis/danişnulebis... organizacia*.

In the first case, the number of the last head word does not depend on the existence of the modifier *sxvadasxva* in a syntagm and it can be in the plural while in the second case, it must be in the singular.